სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №2906/01-22
(CPV 50730000 - გამარტივებული შესყიდვა მონეტარული ზღვრების დაცვით)

ქ. თბილისი 29 ივნისი 2022 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია"** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი კომისიის თავმჯდომარის კახი ბექაურის სახით და მეორე მხრივ, **შპს „სერვის ექსპრეს+"** (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის ოთარ მამასახლისის სახით, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში ხელშეკრულება) -„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, დამატებით და ასევე ყველა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ სხვა მითითებას არ შეიცავს წინამდებარე ხელშეკრულება.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების შესყიდვას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად;
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც შემსყიდველს აწვდის მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად;
1.6. ,,მიღება-ჩაბარების აქტი" - წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ფორმდება მომსახურების მიღების შემდეგ.

2. ხელშეკრულების საგანი

გაგრილების სისტემის ჰაერის დამატენიანებლის შეკეთების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **60.00 (სამოცი ლარი და 00 თეთრი)** ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შემსყიდველი მიმწოდებელთან ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მომსახურების გაწევის შემდგომ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5. მომსახურების მიწოდების ვადები და პირობები

5.1. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდვლისათვის მომსახურების გაწევას ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **3 (სამი) სამუშაო დღისა.**

6. სტანდარტები და გარანტია

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხარისხიანი და სტანდარტების შესაბამისი მომსახურების მიწოდება. გაწეულ მომსახურებაზე ვრცელდება გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) თვე. მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო პერიოდში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი მომსახურების წუნის აღმოფხვრა შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში.

6.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები დეფექტის ან ნაკლის გამოსწორებისათვის და მიმწოდებელს მოსთხოვოს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

7. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
7.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;
7.1.2. მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის მიღებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.2.2. უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს სათანადო ხარისხის მომსახურება სრული მოცულობით.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ან/და შეამოწმოს მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.
8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და შემოწმების განხორციელებას შემსყიდველის მხრიდან უზრუნველყოფს კომისიის აპარატის სპექტრისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის მონიტორინგის ჯგუფის უფროსი გიგა ცისკარიძე.
8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე, შემსყიდველის მხრიდან შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილება ენიჭება კომისიის აპარატის სპექტრისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის მონიტორინგის ჯგუფის უფროსს გიგა ცისკარიძეს.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
9.2. მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% ოდენობით.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.
10.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.
10.5. შემსყიდველს, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ასევე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების ან/და ლიკვიდაციის შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ყალბია;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
10.6. ამ მუხლის 10.5. პუნქტის ა) ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების ღირებულება.

11. გამოყენებული სამართალი და ხელშეკრულების ენა

11.1. ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
11.2. ხელშეკრულება დაიწერა ქართულ ენაზე.

12. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.
13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის შესახებ.
13.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან დავის გადასაწყვეტად მიმართონ საქართველოს შესაბამის სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი პირი ვადასტურებ, რომ არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი:**
სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია” მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18 საიდ. კოდი: 204953050 სს ,,თი ბი სი ბანკი” ა/ა: GE11TB0600000000609326	**შპს „სერვის ექსპრეს+“** ს/კ: 404858542 სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE26TB7657336020100003
კახი ბექაური კომისიის თავმჯდომარე	ოთარ მამასახლისი დირექტორის მინდობილი პირი

GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION

Digitally signed by GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION
Date: 2022.06.29 16:09:42 +04'00'